-20% მდე ფასდაკლება

:: ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

# ᲓᲔᲕᲘᲓ ᲚᲘᲜᲩᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

14:21 / 20.11.2017

ცნობილი ამერიკელი რეჟისორი, სცენარისტი, მუსიკოსი, პროდიუსერი და დამოუკიდებელი კინემატოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი - დევიდ ლინჩი ჟურნალისტებს სასტუმრო Tbilisi Marriott-ში დღეს შეხვდა.
პრესკონფერენციაზე დევიდ ლინჩმა ჟურნალისტების მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.
მან საკუთარ ფილმებსა და ტრანსცენდენტული მედიტაციის მნიშვნელობაზე ისაუბრა:

...

„მე აგრესიული ვიყავი ჩემი პირველი მეუღლის მიმართ და მის ცხოვრებას ნამდვილ ჯოჯოხეთად ვაქცევდი... ამას კარგად ვიაზრებდი, თუმცა საკუთარი აგრესიის კონტროლი არ შემეძლო. ტრანსცენდეტული მედიტაციის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ ჩემი აგრესია ნელ-ნელა გაქრა და ეს ჩემმა მეუღლემაც შეამჩნია. ამ აგრესიის აღმოსაფხვრელად განსაკუთრებული ძალისხმევა არ დამიხარჯავს, მაგრამ ვამჩნევდი, რომ უფრო ბედნიერი ვხდებოდი და ჩემი მეუღლის მიმართაც შევცვალე დამოკიდებულება. ამასთან, ვგრძნობდი შინაგანი ძალის მოზღვავებას, ეს კი ნებისმიერი ადამიანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ნეგატიური განწყობა საქმის კეთებისასაც აღარ მაწუხებდა და ვიგრძენი უდიდესი თავისუფლება.“

პრესკონფერენციის ბოლოს დევიდ ლინჩმა საქართველოში ვიზიტისას შექმნილ შთაბეჭდილებებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ საქართველოში სტუმრობისას თავს ისე გრძნობს, როგორც სახლში: "მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, თუმცა ყველგან მქონდა შეგრძნება, რომ სახლიდან შორს ვიყავი, საქართველოში კი ძალიან კარგი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს ყველაფერი ახლობელი იყო ჩემთვის."

შეგახსენებთ ცნობილი რეჟისორის საქართველოში ვიზიტი დაკავშირებულია დევიდ ლინჩის ფონდის კავკასიის განყოფილების საქმიანობასთან, რომელიც 2017 წლის 25 ივლისს თბილისში ჩამოყალიბდა და საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს აერთიანებს. დევიდ ლინჩის ფონდი 2005 წელს აშშ-ში თავად ლინჩმა დააარსა და ეს ფონდი ტრანსცენდენტული მედიტაციის პოპულარიზაციას უწყობს ხელს. საქართველოში დევიდ ლინჩის ფონდის პრეზიდენტი ცნობილი რეჟისორი და მუსიკოსი გიგა აგლაძეა.

საქართველოში ვიზიტის დროს დევიდ ლინჩმა გამოთქვა ინიციატივა, თბილისში ახალი საერთაშორისო კინოაკადემიის გახსნასთან დაკავშირებით. განათლების მინისტრის მიხეილ ჩხენკელის განცხადებით აღნიშნული ობიექტი რეგიონის ინტელექტიუალურ ცენტრად უნდა იქცეს. მისივე განმარტებით, ახალ საერთაშორისო კინოაკადემიაში პრაქტიკული სამუშაოების გარდა, სიღრმისეულად იმსჯელებენ კინემატოგრაფიის ისტორიაზე, თეორიასა და მის ფილოსოფიაზე. მინისტრის განცხადებით განათლების სამინისტრო მხარს უჭერს ახალ ინიციატივას და იმედოვნებს, რომ ახალი საერთაშორისო კინოაკადემიის დაარსებასთან დაკავშირებით თანამშრომლობა გაღრმავდება.

შეგახსენებთ, დღეს 17:00 საათზე კლუბ "ხიდში" დევიდ ლინჩი საჯარო ლექციას გამართავს ტრანსცენდენტულ მედიტაციისა და საზოგადოებისთვის მისი სოციალური როლის შესახებ. ხოლო 19:00 საათზე კინოთეატრ "ამირანში" ლინჩის ფილმის "მალჰოლანდ დრაივის" ჩვენება გაიმართება, სადაც ცნობილი რეჟისორი მისასალმებელ სიტყვას წარმოთქმავს.

ავტორი: სოფო აფრიამაშვილი
ავტორის სხვა სტატიები

0 კომენტარი
დალაგება ყველაზე ძველი
დაამატეთ კომენტარი...
ფეისბუქის კომენტარების პლაგინი.

# DAVID LYNCH MET WITH THE JOURNALISTS

The famous American film director, scriptwriter, musician, producer and one of the most famous representatives of the independent film – David Lynch met with the journalists today at the hotel "Tbilisi Marriott". David Lynch replied to the questions of the journalists.
He spoke about his films and Transcendental meditation:

"I was aggressive towards my first wife and made a real hell out of her life… I realized it clearly but I could not control my aggression. After starting Transcendental Meditation in two weeks my aggression started to fade away and my wife also noticed this. I didn't make any efforts to eradicate this aggression, but I noticed that I became happier and I changed my attitude towards my wife. At the same time I felt inner power and this is very important for anyone. I didn't have any negativity even during my work and I felt tremendous freedom."

After the press-conference David Lynch spoke about his impressions he had during his visit in Georgia and he stated, that he feels so good while visiting Georgia like at home: "I've been to many countries of the world, but everywhere I was I felt like being far away from home, but in Georgia I had very pleasant feeling like everything was very close to me."

We remind you that the visit of the famous film director is related to the activities of David Lynch Foundation Caucasus office, which was established in Tbilisi on the 25th of July of 2019 and unites Georgia, Azerbaijan and Armenia. David Lynch Foundation was founded by Lynch himself in 2005 in USA and this foundation promotes teaching of Transcendental Meditation. The president of David Lynch Foundation in Georgia is a famous film director and musician, Giga Agladze.

During his visit in Georgia Lynch announced his initiative about opening an international film academy in Tbilisi. According to the Minister of Education Mikheil Chkhenkeli, the given institution should become an intellectual center of the region. As he mentioned except of the practical work, film history, theory and its philosophy will be thoroughly discussed in the new international Film Academy. According to the Minister the Ministry of Education supports the new initiative and hopes that the cooperation between parties in the direction of establishing a new International Film Academy will be strengthened.

We remind you that David Lynch will hold a public lecture about Transcendental Meditation and its social role for society it the club "Khidi" at 17:00, and at 19:00 a screening of Lynch's film "Mulholland Drive" will be performed in the Film Theatre "Amirani" where the famous film director will make a greeting speech.

The author: Sopho Apriamashvili